პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ ᲓᲐ ᲡᲠᲣᲚᲘ

№ 23 (4017)

1970 წ. 3 თებერვალი ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲨᲐᲒᲐᲗᲘ. ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐᲞ.

ᲡᲐᲯ. ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲮᲣᲠᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲚᲔᲚᲝ Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲓᲘᲡ 1934 ᲬᲚᲘᲡ 13 ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ

ნ. სტატკევიჩი — ევროპის „ციგურების დედოფალი“

ᲰᲔᲠᲔᲜᲕᲔᲜᲘ (ჰოლანდია), 1 თებერვალი. ევროპის მოციგურავე ქალთა ჩემპიონატში ყველას აჯობა 25 წლის ლენინგრადელმა ნ. სტატკევიჩმა (500 მ — 45,69 წამი, 1000 მ — 1.36,3, 1500 მ — 2.24,9 და 3000 მ — 5.13,9).

სტატკევიჩმა სპორტის ამ სახეობას სერიოზულად 7 წლის წინათ მოჰკიდა ხელი. მისი მწვრთნელები იყვნენ ვ. სოლოვიოვი და მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ლ. სელიხოვა. ახლა ლენინგრადელს სსრ კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელი ე. კრასილნიკოვი ამეცადინებს. თავის სპორტულ ცხოვრებაში პირველ დიდ წარმატებას სტატკევიჩმა მიმდინარე სეზონში მიაღწია: ჯერ ი. მელნიკოვის პრიზზე საკავშირო შეჯიბრებაში გაიმარჯვა, მერე კი ოქროს მედალი დაისაკუთრა სპრინტერულ მრავალჭიდში და სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონის წოდება მოიპოვა. სტატკევიჩს მსოფლიო რეკორდები ეკუთვნის მრავალჭიდსა და 1500 მეტრზე რბენაში. იგი ლენინგრადის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტია.

ევროპული ჩემპიონატის პირველ დღეს 500 მეტრზე რბენა მოიგო მოსკოველმა ლ. ტიტოვამ — 45,42 წამი (სტატკევიჩი მეორე იყო). 1500 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა სტატკევიჩმა, რომელმაც 2 დისტანციის ჯამში 93,990 ქულა დააგროვა და ლიდერობა იგდო ხელთ. ეს უპირატესობა მან ჩემპიონატის დამთავრებამდე შეინარჩუნა და საბოლოოდ 194,456 ქულა დაგროვა.

საპატიო კვარცხლბეკის მეორე და მესამე საფეხურებზე ჰოლანდიელები ავიდნენ: ვერცხლის მედალი მოიხვეჭა ს. კაიზერმა, ბრინჯაოსი — ა. სხუტმა.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ნ. სტატკევიჩი.
ფოტო ვ. გალაკტიონოვისა.

ᲙᲐᲚᲗᲐ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

● **ᲐᲚᲛᲐ-ᲐᲗᲐ**, 1 თებერვალი. *მედეუს მაღალმთიან საციგურაოზე ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზზე გამართული მოციგურავე ქალთა შეჯიბრება ჩელიაბინსკელი ტ. სიდოროვას გამარჯვებით აღინიშნა — 187,962 ქულა. II ადგილზეა ლენინგრადელი კ. სერიოგინა (190,821), III — მოსკოველი გ. ნეფიოდოვა (190,824).*

● **ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ**, 1 თებერვალი. აქ გამართულ შეჯიბრებაში სვერდლოვსკელმა ი. ხანაფინმა ჭოკით 52¼ სმ სიმაღლე გადალახა, რაც სსრ კავშირის ახალი უმაღლესი მიღწევაა დახურული შენობებისთვის. ამავე დროს ეს საუკეთესო შედეგია წლეულს ევროპაში. ყოველივე ეს მოხდა სსრ კავშირის პედაგოგიური და ფიზკულტურული უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა არდადეგების პერიოდში გამართული შეჯიბრების დროს. მაღალი იყო სხვა შედეგებიც. ასპარეზობა რეკორდების შესწორებით დაიწყეს თარჯმორბენალმა ქალებმაც. ნახევარფინალში ალმა-ათელმა ტ. ანტარიანმა 50 მ 7,1 წამში გაირბინა. ფინალურ გარბენში იგივე შედეგი, რომელიც უმაღლეს საკავშირო მიღწევას 0,1 წამით სჯობს, აჩვენა ვოლგოგრადელმა ლ. ზახარკინამ. ალმაათელ სპორტსმენს ამ შეჯიბრებამ კიდევ ერთი გამარჯვება მოუტანა თარჯრბენში: 100 მ — 14,3. ორმაგი წარმატებით დამთავრდა ასპარეზობა ლენინგრადელი ნ. გავრილოვისთვისაც. იგი უძლიერესი იყო სიგრძეზე მხტომელთა შორის — 618 სმ და 50 მეტრზე რბენაში — 6,4. 100-მეტრიან დისტანციაზე ტოლი არ ჰყავდა მის თანაქალაქელ ნ. ფილიპოვას — 12,1. სიმაღლეზე მხტომელთა სექტორში ყველას ჯობა ივანოველმა ა. შჩიგინმა — 210 სმ. ლენინგრადელმა არმიელმა ბ. სავჩუკმა გადაწყვიტა შეჯიბრებაში უკონკურსოდ ეცადა ბედი და ეს ცდა შედეგიანი აღმოჩნდა: როგორც მისმა თანაქალაქელმა ი. ზორინმა, სავჩუკმაც 49,5 წამში გადალახა 400 მ.

● **ᲒᲝᲡᲐᲣ**, 1 თებერვალი. ავსტრიის ამ პატარა ქალაქის მიდამოებში გაიმართა ევროპის იუნიორ მოთხილამურეთა ჩემპიონატი. კარგად გამოვიდნენ საბჭოთა გოგონები: 5 კილომეტრზე რბენაში ესტონელმა რ. რეჰმაამ ვერცხლის მედალი მოიპოვა (19.44,0), ხოლო კურგანელმა ო. კალინინამ — ბრინჯაოსი (19.51,0). კონტინენტის ჩემპიონი გახდა ფინელი ჰ. კუნტოლა — 19.36,7. საბჭოთა ჭაბუკები უხეიროდ გამოვიდნენ: 10 კილომეტრზე რბოლასა და ტრამპლინიდან ხტომაში პრიზიორთა შორის მათგან ვერავინ ვიხილეთ.

● **ᲛᲔᲚᲔᲪᲘ** (პოლონეთი), 1 თებერვალი. ხელბურთელ ვაჟთა VII მსოფლიო ჩემპიონატის 4 ფინალისტი — ნორვეგიის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის ნაკრები გუნდები აქ საერთაშორისო ტურნირში ასპარეზობენ. სენსაცია უკვე პირველმა მატჩმა მოგვიტანა: მსოფლიო ჩემპიონი — ჩეხოსლოვაკიის ნაკრები ანგარიშით 14:19 (6:10) დამარცხდა ნორვეგიელებთან, რომლებიც სსრ კავშირის გუნდთან ერთად არიან მსოფლიო პირველობის „ა“ ჯგუფში.

ᲥᲔᲯᲚᲘ ᲥᲐᲯᲔᲯᲘ



◆ **ᲕᲔᲘᲙ-ᲐᲜ-ᲖᲔᲔ**, 2 თებერვალი. აქ გამართული ტრადიციული საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალის მთავარ ტურნირში ბრწყინვალედ ითამაშა ლენინგრადელმა დიდოსტატმა მ. ტალიანოვმა, რომელმაც დაუმარცხებლად დაიკავა I ადგილი — 12 ქულა 15-დან. II ადგილზეა დიდოსტატი ვ. ჰორტი (ჩეხოსლოვაკია) — 10,5, III — დიდოსტატი ბ. ივკოვი (იუგოსლავია) — 10. კიეველმა ი. პლატონოვმა 5,5 ქულით XII-XIII ადგილები გაიყო ჰოლანდიელ კ. ლანგეველთან.

◆ **ᲑᲠᲐᲢᲘᲡᲚᲐᲕᲐ**, 2 თებერვალი. ჩეხოსლოვაკიის ღია ჩემპიონატის ნახევარფინალში გავიდა მაგიდის ჩოგბურთის საბჭოთა ოსტატების და რ. პოღოსოვასა (ბაკო) და ს. სარხოიანის (ბათუმი) დუეტი. აქ იგი დამარცხდა მეუღლეთა წყვილთან — დ. და ე. შელერებთან (გფრ) — 2:3. ქალთა ერთეულების ნახევარფინალში პოღოსოვამ წაგო ევროპის ჩემპიონ ი. ვოშტოვასთან (ჩეხოსლოვაკია) — 1:3. ვაჟთა შეჯიბრებაში სარხოიანმა მესამე წრემდე მიაღწია, აქ კი დამარცხდა მასპინძელ ს. კოლაროვიჩთან — 0.3.



თბილისის IX ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში ბრწყინვალედ ჩაატარა სსრ კავშირის ვიცე-ჩემპიონმა ლ. თედიაშვილმა. ამ სურათზე თქვენ ხედავთ მის შერკინებას ბულგარელ დ. კოსტოვთან (მარცხნივ).

ფოტო მ. ზარგარიანისა.

(ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲘᲮ. ᲛᲔ-3 ᲒᲕ.).

ᲛᲫᲚᲔᲝᲡᲜᲝᲑᲐ-70

ევროპის ჩემპიონმა, სტუდენტმა ნ. ჩიტოვამ უკვე გახსნა წლეულდელი წლის მსოფლიო მძლეოსნურ მიღწევათა ანგარიში. როგორც ვიუწყებოდით, ლენინგრადში, ადგილობრივი ზამთრის სტადიონის პრიზზე გამართულ ტრადიციულ შეჯიბრებაში მან ბირთვი 18,36 მეტრზე ჭკრა, რაც 8 სანტიმეტრით სჯობს მისსავე მსოფლიო მიღწევას დახურული შენობებისთვის.

მაგრამ წლის მთავარი სტარტები ჯერ, რა თქმა უნდა, წინაა. პირველი მოეწყობა 25-26 თებერვალს ლუუნიკში, სადაც სპორტის სასახლეში თავს მოიყრიან უძლიერესი საბჭოთა სპორტსმენები და უცხოელი სტუმრები. ამ შეჯიბრებაში გამოიკვეთება ევროპის მძლეოსანთა ზამთრის I ჩემპიონატის მონაწილე საბჭოთა გუნდი (ასპარეზობა ვენის „შტადტჰალეში“ ჩატარდება 14-15 მარტს). გამორიცხული არ არის, რომ სიმაღლეზე მხტომელთა შორის გამარჯვებისთვის და ნაკრების საგზურისთვის იბრძოლოს მსოფლიო რეკორდსმენმა ვ. ბრუმელმა, რომელიც დიდი ხნის შესვენების შემდეგ კვლავ დაბრუნდა სპორტში. იგი გულმოდგინედ ვარჯიშობს. აი, რა თქვა ბრუმელის შანსებზე ევროპის ჩემპიონმა ვ. გავრილოვმა: „არ გამიკვირდება, ვალერი ნაკრებში რომ მოხვდეს“. თავად გავრილოვს განზრახული აქვს ამ ზაფხულს იერიში მიიტანოს ბრუმელის მსოფლიო მიღწევაზე დარბაზებისთვის — 225 სანტიმეტრზე.

4 აპრილს კისლოვოდსკში მოეწყობა პირველი სტარტი ღია ცის ქვეშ: სსრ კავშირის ჩემპიონატი კროსში. გაზაფხულზე დაიწყება „პრავდის“ კროსი — ყველაზე მასობრივი შეჯიბრება საკავშირო კალენდარში. ტრადიციისამებრ, ფინალისტები ერთმანეთს შეხვდებიან 9 მაისს — გამარჯვების დღეს — მოსკოვის იპოდრომზე.

კროსს მონაწილეთა რიცხვით გაუტოლდება მხოლოდ სსრ კავშირის თასის — „იზვესტიის“ თასის გათამაშება, რომლის I ტურიც 150 ქალაქის სტადიონებზე გაიმართება მაისში. უძლიერესი გუნდები ფინალში 25-26 სექტემბერს იასპარეზებენ კრასნოდარში.

სსრ კავშირის წლევანდელი ჩემპიონატი დნეპროპეტროვსკში მოეწყობა 9-13 სექტემბერს.

ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის მუზეუმში ინახება ევროპის თასები — კონტინენტის უძლიერესი ვაჟთა და ქალთა გუნდების პრიზები. წლეულს საბჭოთა მძლეოსნები, რომელთაც ორგზის მოიპოვეს ეს თასები, კვლავ იბრძოლებენ სპპატიო ჯილდოების შენარჩუნებისთვის. 1-2 აგვისტოს ვაჟთა გუნდი ნახევარფინალში შვეიცარიაში გამოვა, ქალთა გუნდი კი რუმინეთში. ქალთა ფინალური შეჯიბრება მოეწყობა 22-23 აგვისტოს ბუდაპეშტში, ვაჟთა ასპარეზობა — 29-30 აგვისტოს სტოკჰოლმში.

ტრადიციის მიხედვით, ზაფხულის სეზონს მძლეოსნები გახსნიან მოსკოვში მორბენლთა შეჯიბრებით „პრავდის“ პრიზზე. 2-3 ივლისს კიევის სტადიონზე ზნამენსკების მემორიალი ჩატარდება.

23-24 ივლისს ლენინგრადში მოეწყობა „ვიგანტების მატჩი“ — სსრ კავშირისა და აშშ-ს მძლეოსანთა ნაკრები გუნდების შეხვედრა. დასასრულ. სსრ კავშირის, გდრ-ისა და პოლონეთის მძლეოსანთა ტრადიციული მატჩი 26-27 სექტემბერს ჩატარდება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

ᲡᲐᲯᲔᲓᲚᲘ ᲛᲘᲛᲙᲘᲗᲮᲚᲝᲑᲘ

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის XXXVII ჩემპიონატი

თბილისის „ბურევესტნიკის“ ორი მოგება

კაუნასსა და კიევში

დამთავრდა ვაჟთა ჩემპიონატის მეორე წრის პირველი ტურის მატჩები. მოგვყავს ბოლო 2 კალენდარული დღის შეხვედრათა შედეგები.

კაუნასი. „ჟალგირისი“ (კაუნასი) — „დინამო“ (თბილისი) 91:83, „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „დინამო“ (მოსკოვი) 61:60, „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — „ლოკომოტივი“ (ალმა-ათა) 76:65, „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მოსკოვი) 77:71, „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (ალმა-ათა) 75:69, „ჟალგირისი“ (კაუნასი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი) 69:60.

კიევი. ცსკა — ასკ (კიევი) 66:65, „კალევი“ (ტარტუ)—„სტროიტელი“ (კიევი) 86:63, „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — ასკ (რიგა) 70:65, ცსკა — ასკ (რიგა) 90:64, „სტროიტელი“ (კიევი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 82:74, „კალევი“ (ტარტუ) — ასკ (კიევი) 98:72.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 8 თებერვლისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	16	14	2	1334—1133	14
„ჟალგირისი“ (კაუნასი)	16	13	3	1289—1193	13
„სტროიტელი“ (კიევი)	16	12	4	1314—1181	12
„სპარტაკი“ (ლენინგრადი)	16	11	5	1250—1136	11
„კალევი“ (ტარტუ)	15	10	5	1229—1169	10
„დინამო“ (მოსკოვი)	16	8	8	1331—1291	8
„დინამო“ (თბილისი)	15	8	7	1118—1167	8
ასკ (კიევი)	16	5	11	1156—1162	5
„ბურევესტნიკი“ (თბილისი)	16	5	11	1186—1332	5
ასკ (რიგა)	16	3	13	1144—1290	3
„ურალმაში“ (სვერდლოვსკი)	16	3	13	1195—1349	3
„ლოკომოტივი“ (ალმა-ათა)	16	3	13	1172—1315	3

რიგასა და ელექტროსტალში

დამთავრდა ქალთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის პირველი ტური. მოგვყავს ბოლო შეხვედრათა შედეგები:

რიგა. სპი (თბილისი) — „უნივერსიტეტი“ (ტარტუ) 75:56, ტტტ (რიგა) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი) 69:53, „სერპ ი მოლოტი“ (მოსკოვი)—„ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი) 76:56, „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი) — სპი (თბილისი) 76:56, ტტტ (რიგა) — „უნივერსიტეტი“ (ტარტუ) 55:52, „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — „სერპ ი მოლოტი“ (მოსკოვი) 74:72.

ელექტროსტალი. „სპარტაკი“ (მოსკოვის ოლქი) — „დინამო“ (მოსკოვი) 61:45, „კიბირკშტისი“ (ვილნიუსი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 64:57, „პოლიტექნიკა“ (კაუნასი) — „დინამო“ (კიევი) 59:55, „სპარტაკი“ (მოსკოვის ოლქი) — „დინამო“ (კიევი) 63:52, „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „პოლიტექნიკა“ (კაუნასი) 60:54, „კიბირკშტისი“ (ვილნიუსი) — „დინამო“ (მოსკოვი) 59:58.

გუნდური დამთავრდა, დაიწყო პირადი

კიევში, სადაც ჩოგბურთელთა საკავშირო ტურნირი მიმდინარეობს, დამთავრდა გუნდური შეჯიბრება. თავდაპირველად გაიკვეთა III საპრიზო ადგილის მფლობელის ვინაობა. ამ ადგილისთვის ერთმანეთს შეხვდნენ უკრაინისა და რუსეთის ფედერაციის გუნდები. მასპინძელთა უპირატესობა ერთობ დამაჯერებელი იყო: უკრაინელებმა გაიმარჯვეს — 6:1.

უშედეგათო ბრძოლა გაიმართა ფინალში ესტონელებსა და მოსკოველებს შორის. იმარჯვეს მოსკოველებმა (5:3) და I ადგილიც მოიპოვეს. უნდა ითქვას, რომ მოსკოველები უკვე ზედიზედ მეხუთე წელია არ თმობენ პირველობას.

საბოლოოდ გუნდური ადგილები ასე განაწილდა: 1. მოსკოვი, 2. ესტონეთი, 3. უკრაინა, 4. რსფსრ, 5. ლატვია, 6. აზერბაიჯანი, 7. ბელორუსია. როგორც უკვე ვიტყობინებოდით, საქართველოს ჩოგბურთელებს გუნდურ ასპარეზობაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

მაშ ასე: გუნდური ბრძოლა დამთავრდა, დაიწყო პირადი პირველობა.

ჩოგბურთი

4 ტურის შემდეგ

მოსკოვის ახლოს, ფიზიკოსთა ქალაქ დუბნაში უკვე ერთი კვირაა მიმდინარეობს სსრ კავშირის სტუდენტ-მოჭადრაკეთა ჩემპიონატი. ბრძოლაში ჩაება 16 ცნობილი ახალგაზრდა ოსტატი, მათ შორის, თბილისელები — საქართველოს ჩემპიონი რ. ჯინჯიხაშვილი და ვიცე-ჩემპიონი ა. ბოკუჩავა.

4 ტურის შემდეგ ერთპიროვნულად ლიდერობს მოსკოველი ბ. გულკო — 3,5 ქულა. მის აქტივში ჯინჯიხაშვილთან გამარჯვებაც არის.

თბილისელი მოჭადრაკეები წარმატებით ვერ თამაშობენ. ჯინჯიხაშვილს 2,5 ქულა აქვს, ბოკუჩავას — 1 (1). აღსანიშნავია ჯინჯიხაშვილის გამარჯვება ა. ბუტნორიუსთან (კაუნასი), ხოლო ბოკუჩავასი — ლენინგრადის ჩემპიონ ვ. ფაიბისოვიჩთან.

ჭადრაკი

მეტყველი ციფრები

ბარშან სსრ კავშირის წარმომადგენლებმა მსოფლიოსა და ევროპის ბევრ ჩემპიონატში მიიღეს მონაწილეობა. ამ უდიდეს ასპარეზობებში საბჭოთა სპორტსმენებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს თავიანთი მაღალი კლასი. მაგალითად, შარშან გათამაშდა მსოფლიოს 131 ჩემპიონისა ან თასის მფლობელის, აგრეთვე, ევროპის 239 ჩემპიონის ან თასის მფლობელის წოდება. აქედან ჯილდოების უმრავლესობა საბჭოთა ქვეყნის წარმომადგენლებს ხვდათ წილად. მსოფლიო ჩემპიონებს შორის 24 ქვეყნის სპორტსმენები იყვნენ. ოქროს მედლების თითქმის ერთი მესამედი (40) საბჭოთა სპორტსმენებმა დაისაკუთრეს. და ეს იმ დროს, როცა აშშ-ს მხოლოდ 15 ათლეტმა მოიპოვა ჩემპიონობა. ამერიკელებს 1 მედლით ჩამორჩნენ იაპონელები. მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ მძლეოსნობასა და ცურვაში, ესე იგი, იმ სახეობებში, რომლებშიც ბოლო ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა ქვეყნის წარმომადგენლები ერთობ მოკრძალებული შედეგებით გამოვიდნენ, მსოფლიო ჩემპიონატები საერთოდ არ ტარდება.

შარშანდელი ნადავლიდან მნიშვნელოვანი წვლილი საქართველოს სპორტსმენებზე მოდის. მსოფლიო ჩემპიონატებში საქართველოს წარმომადგენლებმა 5 პირველი ადგილი მოიპოვეს, 2 — მეორე, 5 — მესამე და 1 — მეხუთე. ამრიგად, მათ მსოფლიო ჩემპიონატებში 13 საპრიზო ადგილი მოიხვეჭეს და სსრ კავშირის რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის სპორტსმენთა შორის 63 ქულით IV ადგილზე არიან (ქულები გამოანგარიშებულია გამოთვლის ოლიმპიური სისტემით. გუნდის მიერ მოპოვებული ქულები გაიყო მონაწილეთა რაოდენობაზე. მაგალითად, სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები, რომელმაც ევროპის ჩემპიონატი მოიგო (7 ქულა), 12 კაცისგან შედგებოდა. 7 ქულა გაიყო 12-ზე და თითოეულ კალათბურთელს 0,58 ქულა დაეწერა).

ახლა გადავხედოთ ცხრილს, რომელშიც ნათლად ჩანს მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის სპორტსმენთა წარმატებები მსოფლიოს ჩემპიონატებში:

1. რსფსრ (ოლქები, მხარეები, ავტონომიური რესპუბლიკები) — 184,69 ქულა (29 I ადგილი, 10 — II, 6 — III, 6 — IV, 1 — V, 3 — VI; სულ 55 საპრიზო ადგილი).
2. უკრაინა — 156,82 (17 — I, 8— II, 11 — III, 1 — IV, 3 — V, 5 — VI; სულ — 45).
3. რსფსრ (მოსკოვი) — 111,33 (44 — I, 9 — II, 6 — III, 3 — IV, 3 — V, 1 — VI; სულ — 66).
4. საქართველო — 66,0 (5 — I, 2 — II, 5 — III, 1 — V; სულ — 13).
5. რსფსრ (ლენინგრადი) — 56,98 (6 — I, 4 — II, 6 — III, 1 — IV, 1 — V, 1 — VI; სულ — 19).
6. ბელორუსია — 43,73 (5 — I, 4 — II, 1 — III, 1 — IV, 2 — V, 2 — VI; სულ 15).
7. ლატვია — 33,08 (4 — I, 1 — II, 2 — III, 2 — VI; სულ — 9).
8. ესტონეთი — 30,40 (3 — I, 3 — II, 1 — III; სულ — 7).
9. უზბეკეთი — 7,00 (1 — I; სულ — 1).
10. სომხეთი — 3,00 (1 — IV; სულ — 1).
11. აზერბაიჯანი — 1,75 (1 — I; სულ — 1).
12. ყაზახეთი — 1,40 (1 — I; სულ — 1).
13. მოლდავეთი — 0,25 (1 — VI; სულ — 1).

მსოფლიო ჩემპიონატების თანრიგით სსრ კავშირის ქალაქებს შორის თბილისელი სპორტსმენები III ადგილზე არიან. ეს ძალიან დიდი წარმატებაა. გადავხედოთ სიას, რომელშიც 10 ქალაქია შესული:

1. მოსკოვი — 111,33 ქულა (45 — I ადგილი, 9 — II, 6 — III, 3 — IV, 5 — V, 1 — VI; ეს ადგილები მოპოვებულია 15 სახეობაში).
2. ლვოვი — 67,46 (8 — I, 2 — II, 3 — III, 1 — IV, 2 — V, 3 — VI; 4 სახეობაში).
3. თბილისი — 64,5 (5 — I, 2 — II, 5 — III; 6 სახეობაში).
4. ლენინგრადი — 56,98 (6 — I, 4 — II, 6 — III, 1 — IV, 1 — V, 1 — VI; 8 სახეობაში).
5. კიევი — 49,11 (7 — I, 5 — II, 3 — III, 1 — V; 6 სახეობაში).
6. მოსკოვის ოლქი — 47,16 (6 — I, 2 — II, 1 — III, 1 — IV, 6 სახეობაში).
7. მინსკი — 43,73 (5 — I, 4 — II, 1 — III, 1 — IV, 2 — V, 2 — VI; 5 სახეობაში).
8. ომსკი — 36,8 (4 — I, 2 — II, 2 — III, 1 — VI; 3 სახეობაში).
9. სვერდლოვსკი — 33,56 (9 — I, 2 — II, 1 — IV; 5 სახეობაში).
10. რიგა — 33,08 (4 — I, 1 — II, 2 — III, 2 — VI; 5 სახეობაში).

ახლა გავეცნოთ ევროპის ჩემპიონატებში მოპოვებულ წარმატებებს. ამ შეჯიბრებებში საქართველოს სპორტსმენებმა 66,71 ქულა დააგროვეს და V ადგილი დაიკავეს. 10 ქალაქს შორის თბილისელები VI ადგილზე არიან (53,91 ქულა). როგორც ხედავთ, ევროპის ჩემპიონატებში საქართველოსა და თბილისის სპორტსმენებმა მსოფლიო ჩემპიონატებთან შედარებით მოკრძალებული შედეგები დაიკავეს. მაგრამ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ საერთო ფონზე არც ეს შედეგებია ურიგო. ყოველივე ნათელი რომ იყოს, კვლავ დავუბრუნდეთ ცხრილს.

ევროპის ჩემპიონატებში რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის სპორტსმენთა წვლილი:

1. რსფსრ (მოსკოვი) — 339,03 ქულა (59 — I ადგილი, 29 — II, 18 — III, 7 — IV, 19 — V, 8 — VI; სულ 140 საპრიზო ადგილი).
2. რსფსრ (ოლქები, მხარეები, ავტონომიური რესპუბლიკები) — 316,17 (43 — I, 19 — II, 16 — III, 15 — IV, 3 — V, 5 — VI; სულ — 101.
3. უკრაინა — 192,23 (26 — I, 17 — II, 10 — III, 4 — IV, 4 — V, 7— VI; სულ — 68).
4. რსფსრ (ლენინგრადი) — 110,51 (13 — I, 14 — II, 7 — III, 2 — IV, 3 — V, 1 — VI; სულ — 40).
5. საქართველო — 66,71 (8 — I, 5 — II, 1 — III, 1 — V, 1 — VI; სულ 16).
6. ბელორუსია — 64,75 (9 — I, 6 — II, 3 — III, 2 — IV; სულ — 20).
7. ესტონეთი — 39,33 (5 — I, 2 — II, 1 — III, 1 — IV; სულ — 9).
8. ლატვია — 24,33 (5 — I, 1 — II, 1— IV, 2 — V, 2 — VI; სულ — 11).
9. ლიტვა — 23,83 (4 — I, 3 — II, 2 — III, I — V; სულ — 10).
10. აზერბაიჯანი — 13,00 (2 — I, 2 — II, 1 — IV, 1 — VI; სულ — 6).
11. ყაზახეთი — 7,75 (1 — II, 2 — III, 1 — VI; სულ — 4).
12. სომხეთი — 6,83 (1 — I, 2 — II; სულ—3).
13. მოლდავეთი — 3,25 (1 — III, 1 — IV, 1 — V, 2— VI; სულ — 5).
14. ყირგიზეთი — 3,00 (1 — IV; სულ — 1).

ევროპის ჩემპიონატებში სსრ კავშირის ქალაქების წვლილი:

1. მოსკოვი — 339,03 ქულა (59 — I ადგილი, 29 — II, 18 — III, 7 — IV, 19 — V, 8 — VI; ეს ადგილები მოპოვებულია 16 სახეობაში).
2. ლენინგრადი — 110,51 (13 — I, 14 — II, 7 — III, 2 —IV, 3 — V, 1 — VI; 10 სახეობაში).
3. მოსკოვის ოლქი — 89,56 (11 — I, 7 — II, 3 — III, 2 — IV, 2 — V, 2 — VI; 7 სახეობაში).
4. კიევი — 88,63 (15 — I, 10 — II, 5 — III, 1 — IV, 1 — V, 6 — VI; 9 სახეობაში).
5. მინსკი — 61,75 (8 — I, 5 — II, 3 — III, 2 — IV; 4 სახეობაში).
6. თბილისი — 53,91 (7 — I, 4 — II, 1 — V, 1 — VI; 5 სახეობაში).
7. იაროსლავლი — 38,25 (5 — I, 2 — II, 4 — IV; 2 სახეობაში).
8. ტალინი — 37,5 (4 — I, 1 — II, 1 — III, 1 — IV; 3 სახეობაში).
9. ლვოვი — 37,25 (7 — I, 1 — II, 2 — III; 2 სახეობაში).
10. დონის როსტოვი — 25,0 (3 — I, 2 — II; 3 სახეობაში).

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საქართველოს სპორტსმენები მიღწეულს არ დაჯერდებიან, წლეულსაც ახახელებენ საბჭოთა სპორტსა და რესპუბლიკას.

ეკვატორის მისადგომებთან

თბილისის მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატი. IV ტური. ვ. მეჩითოვი — თ. აღაბეგაშვილი 1:0, მ. ლევინი — ნ. ჩახოიანი 1:0, ხ. ჩეჩელიანი — ხ. ელბაქიძე 1:0, ვ. სემიონოვი — მ. სანაძე 1:0. სხვა პარტიები გადაიდო.

V ტური: ელბაქიძე — სემიონოვი 0:1, სანაძე — ლევინი 0:1, ხ. მეგრელიშვილი — მეჩითოვი 1:0, ზ. მიქაძე — ე. მიქაელიანი 1:0, ჩახოიანი — თ. ლომაია 0:1. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

VI ტური. ჩეჩელიანი — დ. ჯანოევი 1:0, გ. ციხელაშვილი — აღაბეგაშვილი 1:0, მეჩითოვი — მიქაძე 0,5:0,5. ხუთი პარტია გადაიდო.

VII ტური. აღაბეგაშვილი — ჩეჩელიანი 0:1, ჯანოევი — სემიონოვი 1:0, მ. თხელიძე — სანაძე 0,5:0,5, ელბაქიძე — ლევინი 0:1. მეგრელიშვილი — ციხელაშვილი 1:0, ლომაია — მიქაელიანი 1:0. ერთი პარტია გადაიდო.

გადადებული პარტიების დამთავრება. მეგრელიშვილი — მიქაძე 0,5:0,5, ჩახოიანი — მეჩითოვი 0:1, თხელიძე — მიქაელიანი 0:1, ბელქანია — ჯანოევი 0,5:0,5, სანაძე — ელბაქიძე 1:0, ჯანოევი — ციხელაშვილი 1:0, აღაბეგაშვილი—ბელქანია 0:1, მიქაელიანი — ჩახოიანი 1:0, ციხელაშვილი — თხელიძე 1:0, თხელიძე — ჩეჩელიანი 0:1, სემიონოვი — ციხელაშვილი 0:1.

7 ტურის შემდეგ ლიდერობენ: ჩეჩელიანი — 7 ქულა, ციხელაშვილი, ჯანოევი — 4,5-4,5, ლევინი — 4 (1), მეჩითოვი — 4.

ჩემპიონატი მიუახლოვდა ეკვატორს — გრძელი დისტანციის ნახევარს. საერთო მოწონებას იმსახურებს თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტის ს. ჩეჩელიანის შესანიშნავი თამაში. ნიჭიერმა ახალგაზრდამ ყველა შეხვედრა მოიგო და მტკიცედ ლიდერობს. გარკვეულ მოენტამდე მას ჯანოევი უწევდა მეტოქეობას, მაგრამ პირად შეხვედრაში ლიდერმა ისიც დაამარცხა.

კარგი სტარტი (3,5 ქულა 4-დან) ჰქონდა ციხელაშვილს, მაგრამ ჯერ ჯანოევთან, მერე კი მეგრელიშვილთან მარცხმა შეაფერხა მისი წინსვლა. ჯერჯერობით II ადგილს ციხელაშვილი და ჯანოევი ეცილებიან ერთმანეთს.

მხოლოდ გამარჯვება! — ასეთი დევიზით იბრძვის ლომაია. მან ზედიზედ ოთხი მეტოქის დამარცხება შეძლო. ლევინიც ასევე უშედეგოდ თამაშობს.

როგორც ცნობილია, ტურნირში პირველ ხუთ ადგილზე გასული მოჭადრაკეები ბრძოლას საქართველოს პირველობის ფინალში გაგრძელებენ. ზემოდასახელებულ ლიდერთა ხუთეულის გარდა ფინალში მოხვედრის შანსი აქვთ ბელქანიას — 3,5 (2), მიქაძეს — 3 (3), მიქაელიანს — 3 (1) და მეგრელიშვილს — 2,5 (2). ბეგრია დამოკიდებული არა მარტო მათი გადადებული პარტიების შედეგებზე, არამედ ჩემპიონატის მეორე ნახევარში ძლიერ თამაშზეც.

ტურნირის მონაწილე ერთადერთ ქალს — მ. სანაძეს 2 ქულა აქვს. მის აქტივშია გამარჯვება ოსტატობის კანდიდატ ელბაქიძესთან.

თ. ნინოშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის IX ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში

10 წამიც საქმეა!

სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონმა და მსოფლიო პირველობის პრიზიორმა ტ. ალიბეგაშვილმა მისთვის უჩვეულო, ქვემსუბუქ წონაში ისპარეზა. ამას თუ დავუმატებთ, რომ იგი შეუძლოდაც იყო, მაშინ II ადგილი ნიჭიერი ათლეტის წარმატებად უნდა ჩავთვალოთ.

მარცხენა სურათზე თქვენ მას ხედავთ მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონ ა. ალიევთან ორთაბრძოლის დროს, რომელიც ქართველი ათლეტის გამარჯვებით დამთავრდა.

• • •

ტურნირში ყველაზე ტექნიკური მოჭიდავის პრიზი სტუმართა შორის სამართლიანად დაიმსახურა ირანელმა აბდულბაკერმა.

მარჯვენა სურათზე: აბდულბაკერს პრიზს გადასცემს სპორტის ოსტატი ე. კოშკაძე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.



თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი მუდამ მონაწილეთა და სპეციალისტთა დიდ ინტერესს იწვევდა. ამ ასპარეზობაში უძლიერეს საბჭოთა და უცხოელ ათლეტებთან ერთად ნიჭიერი ახალგაზრდა ქართველი მოჭიდავეებიც გამოდიან. ასე იყო სხვა დროს და გამონაკლისს არც წლევანდელი შეჯიბრება წარმოადგენდა.

თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მონაწილეთა უმრავლესობამ სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა. მათ შორის არიან მოჭიდავეები, რომლებიც უახლოეს ხანში დიდ ოსტატებად გაგვაცნობენ თავს. საკმარისია ითქვას, რომ ქვემსუბუქ წონაში შ. ლუტიძე ფრედ დამთავრა შეხვედრები მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონ ა. ალიევთან და ამ წონით კატეგორიაში გამარჯვებულ აბდულბაკერთან. ამასთან, აღსანიშნავი მარტო ის კი არ არის, რომ ორთაბრძოლები ფრედ დამთავრდა, არამედ თვით ბრძოლის ხარისხი: ახალგაზრდა ქართველი მოჭიდავე ტოლს არ უდებდა სახელოვან ფალავნებს. საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ შეჯიბრების 11 მონაწილეს შორის ლუტიძემ IV ადგილი დაიკავა. უცნაური მდგომარეობა შეიქმნა ამ წონით კატეგორიაში: შეჯიბრების დებულებით, ყოველ წონით კატეგორიაში ერთი ქვეყნის მხოლოდ თითო წარმომადგენელს შეუძლია საპრიზო სამეულში მოხვედრა. აქ კი გამარჯვებისთვის იბრძოდა ერთი ირანელი (აბდულბაკერი), ერთი ბულგარელი (შავოვი) და 9 საბჭოთა ათლეტი. ასე რომ, შავოვი, რომელსაც ორი წაგება ჰქონდა, III ადგილზე აღმოჩნდა, ხოლო ლუტიძე მეოთხე იყო (ერთი მოგება და 2 ფრე). იგივე გამეორდა მუუბუქ წონაშიც.

საინტერესოა, რომ დმიტრიევსა და აბდულბეკოვს გარდა, I ადგილი შეინარჩუნა ნ. ხოხაშვილმაც. იგი ტურნირის ერთადერთი მონაწილეა, რომელმაც მხოლოდ ერთი საჯარიმო ქულა მიიღო. ხოხაშვილი ჭიდაობდა დამაჯერებლად, უშეცდომოდ, აუღელვებლად. ნოდარი არც ერთ შეაფერ შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან, რათა მეტოქე კრიტიკულ მდგომარეობაში ჩაეყენებინა. ხოხაშვილმა დაიმსახურა ყველაზე ტექნიკური მოჭიდავისთვის განკუთვნილი პრიზი, რომელიც მას გადასცა მსოფლიო თასის მფლობელმა, ერევნელმა ნ. მუშეღიანმა.

პირველ საშუალო წონაში საყოველთაო მოწონება დაიმსახურა თედიაშვილმა. ორი წლის შესვენების შემდეგ ამ წონით კატეგორიაში კვლავ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი ავიდა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.

მეორე საშუალო წონაში კარგად იასპარეზეს შ. პაპაშვილმა და მ. ცნობილაძემ. ეს უკანასკნელი შეჯიბრების ბოლო საღამოს ორჯერ გამოვიდა ხალიჩაზე. მან ჯერ ქულებით სძლია ბულგარელ დელჩევს, ხოლო ათიოდე წუთის შემდეგ პაპაშვილს შეხვდა. პაპაშვილს ფრეც აძლევდა ხელს საერთო გამარჯვებისთვის, ხოლო ცნობილაძეს აუცილებლად უნდა მოეგო. დაღლილ-დაქანცულმა სპორტსმენმა ვერც ერთი ქულის აღება ვერ შეძლო და საბოლოოდ შესვედრა ფრედ დამთავრდა. საჯარიმო ქულები ორივე მოჭიდავეს თანაბრად (1-1) ჰქონდა, მაგრამ უპირატესობა პაპაშვილს მიენიჭა, რადგან სხვა შეხვედრებში მას მეტოქეზე 10 წამით ნაკლები დრო აღმოაჩნდა დახარჯული.

ქვემძიმე წონაში მეტი იყო მოსალოდნელი იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორ თ. ბენდიანიშვილისგან, მაგრამ იგი ზედმეტად ფრთხილობდა და მასზე სუსტ მეტოქეებთან დამარცხდა.

მძიმე წონაში წარუმატებლად გამოვიდა თბილისის შარშანდელ ტურნირში გამარჯვებული ე. გოცირიძე. შარშან მან შეჯიბრება წაგებით დაიწყო და შემდეგ მაინც შეძლო I ადგილის მოპოვება, წლეულს კი ვეღარ იცნობდით. ბ. გოგნაძესთან უფერული ფრეს შემდეგ გოცირიძემ წააგო ირანელ ესკანდერფილბადისთან, შემდეგ კი შეჯიბრებაც ვერ დაამთავრა.

და, ბოლოს, ერთი სურვილი: განსად თბილისის საერთაშორისო ტურნირი მეათედ მოეწყობა. ხომ არ იქნება მიზანშეწონილი, შეჯიბრებას უდროოდ დაღუპული შესანიშნავი მოჭიდავის, მსოფლიო ჩემპიონისა და ოლიმპიური თამაშების პრიზიორის ვლადიმერ რუბამვილის მემორიალი ვუწოდოთ?

ა. მხეიძე.





უმჩატესი წონის მოჭიდავე რ. დმიტრიევი და მსოფლიო ჩემპიონი, ირანელი ი. ჯავადი ამ ტურნირში პირველად როდი შეხვდნენ ერთმანეთს. შარშან ირანში მასპინძელმა 6 ქულით სძლია საბჭოთა ათლეტს, და, ბუნებრივია, დმიტრიევი რევანშის სურვილით იყო განწყობილი. მან მრისხანე მეტოქეს 2 ქულა აართვა და საბოლოოდ გამარჯვებაც იზეიმა.

მარცხენა სურათზე სწორედ ამ ორი სპორტსმენის შეხვედრის მომენტია აღბეჭდილი.

• • •

მარჯვენა სურათზე: ირანელი გორბანისა და ა. ნასრულაევის ფინალური შერკინების მომენტი. ქულებით გაიმარჯვა ირანელმა.

ფოტო ა. კოტორაშვილისა.

პრიზიორები...

უმჩატესი წონა: 1. რ. დმიტრიევი (სსრ კავშირი), 2. ი. ჯავადი (ირანი), 3. განბადი (მონღოლეთი).

მჩატე: 1. მ. გორბანი (ირანი), 2. ა. ნასრულაევი (სსრ კავშირი), 3. ი. ხრისტოვი (ბულგარეთი).

ქვემსუბუქი: 1. ჯ. აბდულბაკერი (ირანი), 2. ტ. ალიბეგაშვილი (სსრ კავშირი), 3. ი. შავოვი (ბულგარეთი).

მსუბუქი: 1. ზ. აბდულბეკოვი (სსრ კავშირი), 2. მ. დეხტაშდი (ირანი), 3. ი. სერშენი (ჩეხოსლოვაკია).

პირველი ქვესაშუალო: 1. ნ. ხოხაშვილი (სსრ კავშირი), 2. ი. უსეინოვი (ბულგარეთი), 3. მ. ბარზიგიარი (ირანი).

მეორე ქვესაშუალო: 1. ნ. ეურული (სსრ კავშირი), 2. ა. პეტროვი (ბულგარეთი), 3. მ. ფარანდუსი (ირანი).

პირველი საშუალო: 1. ლ. თედიაშვილი (სსრ კავშირი), 2. ჰ. იაკუბი (ირანი), 3. დ. კოსტოვი (ბულგარეთი).

მეორე საშუალო: 1. შ. პაპაშვილი (სსრ კავშირი), 2. ბ. დელჩევი (ბულგარეთი), 3. მუხბატი (მონღოლეთი).

ქვემძიმე: 1. კ. ლიივა (სსრ კავშირი), 2. ხ. ხუსნიევი (ბულგარეთი), 3. ბაიანმუხი (მონღოლეთი).

მძიმე: 1. ვ. პარშუკოვი (სსრ კავშირი), 2. ი. ესკანდერფილბადი (ირანი), 3. პურუვსურენი (მონღოლეთი).

△ **მონტე-კარლო.** ტრადიციული საერთაშორისო ავტორალი მოიგო ვალდეგარმა (შვეცია). მომდევნო ადგილები დაიპაკუთრეს ლარუსმა, ნიკოლასმა (ორივე — საფრანგეთი), ანდერსონმა (შვეცია) და კლარკმა (ინგლისი).

△ **მაიამი ბიჩი.** აქ გაიმართა იუნიორთა (18 წლის ასაკამდე) ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი სენშაინის თასზე (დევისის თასის მსგავსი ასპარეზობა). ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და არგენტინის ჩოგბურთელთა გუნდები. გაიმარჯვეს ამერიკელებმა — 2:1.

△ **პრაღა.** ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონთა წოდება ფიგურულ ციგურაობაში მოიპოვეს: ვაჟებში — ბუდეკმა, ქალებში — ბესაკოვამ, წყვილთა სრიალში — ფიალოვამ და ტუმამ, ცეკვებში — და-ძმა სკოტინსკებმა.

△ **ჰელსინკი.** აქ გაიმართა ფინეთისა და იტალიის მოკრივეთა ნაკრები გუნდების შეხვედრა. იტალიელთა უპირატესობა აშკარა იყო: მათ გაიმარჯვეს ანგარიშით 16.4.

გამარჯვებულთა გზა

უმჩატესი წონა. დმიტრიევი პირველ წრეში თავისუფალი იყო, შემდეგ ქულებით მოუგო ირანელ კერამატს, მაღალაშვილს (წმინდად — 8 წუთსა და 20 წამში) და ქულებით — ირანელ ჯავადის.

მჩატე. გორბანიმ აშკარა უპირატესობით მოუგო მიქელაძეს, ტაგიევს (წმინდად — 2.58), ქულებით — მონღოლ სოდნემცერენს, აშკარა უპირატესობით— რუმინელ ჩერნაუს, ქულებით — გიორგაძესა და ა. ნასრულაევს.

ქვემსუბუქი. აბდულბაკერმა ქულებით მოუგო ალიბეგაშვილს, ფრედ დაამთავრა შეხვედრა ა. ალიევთან, წმინდად მოუგო შომახოვს (5.20), ფრედ დაამთავრა შეხვედრა ლუტიძესთან და ქულებით სძლია მალიანს.

მსუბუქი. აბდულბეკოვმა წმინდად მოუგო ჰუსეინოვს (8.15) და სერშენს (1.40), ფრედ დაამთავრა შეხვედრები პლიევთან და არნაუტოვთან.

პირველი ქვესაშუალო. ნ. ხოხაშვილმა წმინდად მოუგო ნეუსტროევს (8.20), ბულგარელ მუსტაფოვსა (7.40) და მონღოლ რაკჩას (5.30), შემდეგ წრეში თავისუფალი იყო, ბოლოს ქულებით აჯობა ნ. ნასრულაევს.

მეორე ქვესაშუალო. ეურულმა ქულებით მოუგო არაქელიანს, როსტომაშვილს, ფარანდუსს, წმინდად — მენთეშაშვილს (7.40), ქულებით სძლია პეტროვს და ფრედ დაამთავრა შეხვედრა ბურაკოვთან.

პირველი საშუალო. თედიაშვილმა ქულებით მოუგო რუმინელ იორგას, წმინდად — ბულგარელ ივანოვს (6.30), ქულებით აჯობა კოსტოვს, წმინდად— გეგეშიძეს (2.25), შემდეგ წრეში თავისუფალი იყო, ბოლოს ქულებით მოუგო ა. ილურიძეს.

მეორე საშუალო. პაპაშვილმა ქულებით მოუგო მოროზოვს, მუხბატს, არუთიუნოვს, წმინდად დაამარცხა გომეჯიშვილი (8.30), ქულებით სძლია დელჩევს, შემდეგ წრეში თავისუფალი იყო, ბოლოს ფრედ დაამთავრა შეხვედრა ცნობილაძესთან.

ქვემძიმე. ლიივამ ფრედ დაამთავრა შეხვედრა აკუმანოვთან, ქულებით მოუგო მაიანმუხს, ნიკურაძეს და წმინდად — ხუსნიევს (8 25).

მძიმე. პარშუკოვმა წმინდად მოუგო პურუვსურენს (2.45), ფრედ დაამთავრა შეხვედრა ანდიევთან, ქულებით მოუგო ესკანდერფილბადსა და ბ. გოგნაძეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითონ ქმნიან და ასპარეზობენ

თბილისის ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურს კარგი ტრადიციები აქვს. მის კაბინეტებსა და ლაბორატორიებში გამოცდილი სპეციალისტების ზრუნვით გაიზარდა ბევრი კარგი სპორტსმენი-მოდელისტი, რომლებმაც შემდეგ ძირითად პროფესიად რადისტობა, მფრინავობა, მეზღვაურობა აირჩიეს.

აქ აღზრდილ სპორტსმენებს ბევრჯერ უმარჯვნიათ რესპუბლიკურ ტურნირებში, სსრ კავშირის ჩემპიონატებში. ამ ფოტონარკვევით გვინდა სწორედ ამ სადგურის სპორტსმენთა მოღვაწეობაზე მოგითხროთ.

კაბინეტებსა და ლაბორატორიებში მუდამ საქმიანი ფუსფუსია. მოდელისტები დეტალებს ზომავენ, ძრავებს ამოწმებენ, მოდელებს ქმნიან და მომავალი ტურნირებისთვის ამზადებენ.

რადიომოყვარულთა კაბინეტში შესვლისთანავე ჩვენი ყურადღება მიიპყრო თასებმა და დიპლომებმა, რომლებიც ამ წრის აღზრდილებმა სხვადასხვა შეჯიბრებაში მოიხვეჭეს.

— ჩვენთან ასამდე ბავშვი და მოზარდი ეცნობა რადიოტექნიკის საიდუმლოებას. მათ მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხის მოყვარულებთან აქვთ ორმხრივი რადიოკავშირი. — გვიამბობს წრის ხელმძღვანელი უ. ბერძენიშვილი.

1-ლ სურათზე რადიოწრის წევრთა მორიგი მეცადინეობის მომენტია აღბეჭდილი. თბილისის 119-ე სკოლის მერვეკლასელი ვ. სივილგინა (წინა პლანზე) და 101-ე სკოლის მეცხრეკლასელი ლ. ნერსეევი მოკლეტალღიან კოლექტიურ რადიოსადგურზე მუშაობენ.

მე-2 სურათზე თქვენ ხედავთ ამავე სექციის წევრებს (მარცხნიდან) ს. ვოლიგუანინს, ა. კარპენკოს, ა. გუსევს, ა. ლობუანიძეს, ნ. დემურჩიევსა და ა. ვერემიეევს რადიოგრამების მიღება-გადაცემაში ვარჯიშის დროს.

მე-3 სურათი ავიამოდელისტთა ლაბორატორიაშია გადაღებული. მარცხნიდან — გ. ჩინჩალაძე, ს. მარკუშინი, ვ. ბახტაძე და გ. ასათიანი მოდელის დამზადებაზე მუშაობენ. მარკუშინი მე-15 სკოლის VII კლასის მოსწავლეა, სხვები მე-4 სკოლის მეშვიდეკლასელები არიან.

ნაყოფიერად მუშაობს საზღვაო მოდელისტთა წრე, რომელსაც სპორტის ოსტატი თ. ლატარია ხელმძღვანელობს. მე-4 სურათზე თქვენ ხედავთ წრის წევრს, მე-19 სკოლის მეათეკლასელ ა. ჩერქეზიშვილს, როცა იგი საზღვაო ჩქაროსნულ მოდელს ამზადებს. მისმა ამგვარმა მოდელმა შარშან საათში 130 კმ სიხშირეზე განავითარა, რამაც სპორტსმენს რესპუბლიკის ჩემპიონობა მოუპოვა, „კონ-ტიკის" მოდელმა კი საკავშირო გამოფენაზე ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.

ახლა თბილისის ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის აღსაზრდელები სპორტის ტექნიკურ სახეობებში საკავშირო სპარტაკიადისთვის ემზადებიან.

ტექსტი და ფოტო ა. გურასაშვილისა.



ჯგუფი ჯეჯეში

6:1

● **გუდაკეშტი, 1 თებერვალი.** მაგიდის ჩოგბურთელთა ევროპული ლიგის პირველობის პროგრამით აქ გაიმართა უნგრეთისა და გფრ-ის გუნდების შეხვედრა. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 6:1. ამ წარმატების შემდეგ უნგრელებმა დააგროვეს 4 ქულა და სატურნირო ცხრილში ინგლისელებთან ერთად III-IV ადგილებს იყოფენ. შეჯიბრების ლიდერები არიან ამგვარ ტურნირებში ორგზის გამარჯვებულნი — სსრ კავშირისა და შვეიცის გუნდები (6-6 ქულა). 5 თებერვალს მოსკოვში უნგრელი სპორტსმენები შეხვდებიან სსრ კავშირის მაგიდის ჩოგბურთელებს.

პრისტინ კარონის თავგადასავალი

. მას შემდეგ, რაც მსოფლიოს ექს-რეკორდსმენმა გულალმა ცურვაში კრისტინ კარონმა აუზი დატოვა, მისთვის ახალი თავგადასავლები დაიწყო. კარონის ანუ „კიკის" სახელმა, როგორც მას ალერსიანად ეძახიან ფრანგები, სპორტსმენის წინაშე ბევრი კარი გააღო. მაგრამ კარონი დიდხანს ვერსად გაჩერდა. თუმცა, თავად განსაჯეთ: მიმზიდველი გარეგნობის მოცურავე თავდაპირველად პარიზის ერთ-ერთ ფეშენებელურ მოდების სახლში მოეწყო მემანეკენედ. მერე ეს საქმე არ მოეწონა და ესტრადა ამჯობინა. მისი ორი გრამფირფიტა მრავალათასიანი ტირაჟით გამოვიდა, მაგრამ კარონმა მაინც მიატოვა სიმღერა და კინოში გადაინაცვლა.

პროდიუსერები კმაყოფილი იყვნენ: მარტო სპორტსმენის სახელი, მიუხედავად ფილმის ხარისხისა და თვით მსახიობის თამაშისა, გვარიანი შემოსავლის გარანტიას იძლეოდა. მაგრამ კარონმა ითამაშა ფილმში „ზღვის შროშანი" და კინოზე გული გაუტყდა.

ახლა იგი პარიზის ერთ-ერთ კაბარეში მღერის, მაგრამ არ ვფიქრობთ, რომ მისი თავგადასავალი ამით დამთავრდება. ამას წინათ კარონმა რეპორტიორებს განუცხადა, რომ არც ახალი ამპლუა აკმაყოფილებს.

მაშ ასე, გაგრძელება იქნება.

ასი მეტრი — 9,6?

მსოფლიოს ექს-რეკორდსმენმა 100 მეტრზე რბენაში, დასავლეთგერმანელმა მძლეოსანმა არმინ ჰარიმ, პირველმა სპორტსმენმა, რომელმაც 100 მეტრი ზუსტად 10 წამში გაირბინა, დიდი ხანია თავი დაანება აქტიურ სპორტს. მართალია, ახლა იგი ცხენოსნობას მისდევს, ხანდახან ფეხბურთსაც თამაშობს, მაგრამ, მისი სიტყვებით, ეს ყველაფერი არასერიოზული ვარჯიშია. მიუხედავად ამისა, ჰარიმ კარგად იცის, რა ხდება სარბენ ბილიკებზე, და ყოფილი რეკორდსმენის პროგნოზები ალბათ ბევრისთვის საინტერესო იქნება.

— მე აღტაცებით ვადევნებდი თვალს, როგორ დაამხეს ამ ბოლო დროს შავკანიანმა სპრინტერებმა ყველა წარმოდგენა ადამიანის შესაძლებლობათა საზღვრებზე. ჰაინსი, გრინი და სმითი ფენომენალურ შედეგებს აჩვენებენ. ვიცი ტარტანის სასწაულებრივი თვისებებიც და დარწმუნებული ვარ, რომ ამ ბილიკებზე ასპარეზობა მორბენლებს კიდევ ბევრ მნიშვნელოვან წარმატებას მოუტანს. ვფიქრობ, უახლოეს ხანში მსოფლიო რეკორდი 9,რ წამამდე გაუმჯობესდება.

ყოველი მხრიდან

ჯგუფი ჯეგვის საკავშირო

ბრემენელი „მუსიკოსები"

პროფესიონალ ველოსიპედისტთა მრავალდღიანი რბოლა განსაკუთრებით დადებითი ემოციების გამომწვევი სანახაობა არ გახლავთ. დასავლეთის სენსაციების მოყვარული სპორტული ჟურნალისტებიც კი ზოგჯერ იძულებული არიან აღიარონ ამ შეჯიბრების მთელი ანტისპორტულობა. აი, რას წერს გაზეთი „შტუტგარტერ ციტუნგი" ექვსდღიან რბოლაზე, რომელიც ამას წინათ ბრემენში ჩატარდა: „მაყურებლები ჭამენ, ერთმანეთში მუსაიფობენ, ყვირიან, მღერიან და... მხოლოდ სანდახან გადახედავენ ტრეკს, სადაც 11 მრბოლელი დაჯაბული ატრიალებს პედლებს, იტანჯება, იბრძვის, ცდილობს ჯოჯოხეთური ძალადატანების შედეგად როგორღაც შეუნარჩუნოს რბოლას სპორტული პრესტიჟი. მაგრამ ეს ყველაფერი მაყურებელს ნაკლებად აინტერესებს. მას მოსწონს ჯამბაზი ველოსიპედზე, ნამდვილი სპორტსმენი კი მხოლოდ მოწყენილობას ჰგვრის..."

ბოლოს და ბოლოს, ასეთი ჯამბაზი მუდამ გამოჩნდება ხოლმე. ამჯერად ეს როლი შეასრულა ადგილობრივი მაყურებლების რჩეულმა ველოსიპედისტმა ფრიცმა. იგი მამეუნობდა, თავის მეტოქეებს რბოლას უწლიდა, ვიღაცას ედავებოდა ტრიბუნებზე. მაყურებლები აღტაცებული იყვნენ ასეთი „სპორტით", შეთანხმებულად ჰყვებოდნენ ამ „ხუმრობას", როგორც ორკესტრი აყყვება ხოლმე დირიჟორს. აი, ფრიცი მოხერხებულად დაეჯახა რომელიღაც მეტოქეს. ეს უკანასკნელი დავარდა და ტრეკს სისხლის კვალი დაჩნდა.

ფრიცის ბოლო ტრიუკმა მაყურებელთა უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია. ან როგორ არ გამოიწვევდა — ბრემენის ტრეკზე ასეთი მშვენიერი კონცერტი მოეწყო! ამ სანახაობას დახარბებულ ბიურგერებს არ შეუძლიათ გაარჩიონ ნამდვილი ზელოვნება სიყალბისგან, პირველყოფილი ველურობა — ნამდვილი სპორტისგან.

ასე დანაბილდნენ...

თებერვლის ბოლოს საფრანგეთში დაიწყება ხელბურთელ ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური თამაშები. დღემდე მხოლოდ 13 ფინალისტის ვინაობა იყო ცნობილი. საქმე ის გახლავთ, რომ მეთექვსმეტე ფინალისტი აშშ — კანადის გუნდებს შორის გამარჯვებული უნდა ყოფილიყო. კანადელებმა მეხობლებს მოუგეს კიდეც შეხვედრა, მაგრამ ბოლო მომენტში უარი თქვეს ფინალში მონაწილეობაზე. ვაკანტურ ადგილს 3 პრეტენდენტი გამოუჩნდა: ესპანეთი, ჰოლანდია და აშშ. საბოლოოდ ფინალის საგზური მიიღეს ამერიკელებმა, რადგან, ფაქტიურად, ფინალში თამაშის უფლება სწორედ მათ ჰქონდათ: როგორც გამოირკვა, კანადის ნაკრებში შერჩევითი მატჩების დროს აშშ-ს გუნდის წინააღმდეგ გამოსულა დანიელი ვ. იაკობსენი. ამასთან, იგი კანადის მოქალაქე არ იყო.

ხელბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის ოთხ ჯგუფში ქვეყნები ასე დანაწილდნენ:

„ა". სსრ კავშირი, შვეიცია, ნორვეგია, გდრ;

„ბ". ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია, იაპონია, აშშ;

„გ". რუმინეთი, გფრ, საფრანგეთი, შვეიცია;

„დ". დანია, უნგრეთი, პოლონეთი, ისლანდია.

შემადგენლობა გამოცხადებულია

სტოკჰოლმი, 1 თებერვალი. შვეციის სათხილამურო კავშირმა გამოაცხადა შემადგენლობა ეროვნული გუნდისა, რომელიც მაღალ ტატრებში (ჩეხოსლოვაკია) მსოფლიო პირველობისთვის იბრძოლებს რბოლების დისტანციებზე. ნაკრებში შევიდნენ: ვაჟები — ბ. ანდერსონი, ლ.-ა. ბელინგი, ი. ჰალკარსონი, გ. ლარსონი, უ ლასტანდერი, ა. ლილია (მან მოულოდნელად მოიგო 30-კილომეტრიანი რბოლა თავისი ქვეყნის ჩემპიონატში), მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ა. რენლუნდი, ი. სანდსტრიომი, ო. ვინგსკუვი, ლ.-ე. ოსლუნდი; ქალები — ბ. ლუნდკვისტი, ბ. ტანუ, ვ. ჟულიპეე და მ. ბუდელიდი.

ორი წაგება, ერთი მოგება

ერევანი, 2 თებერვალი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ მიმდინარეობს ხელბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ სსრ კავშირის I და ახალგაზრდული ნაკრები გუნდები, ჩეხიის, ფინეთის, საქართველოსა და სომხეთის კოლექტივები.

პირველ დღეს საქართველოს ნაკრები დამარცხდა სსრ კავშირის პირველ გუნდთან — 14:25 (5:15). სამაგიეროდ, ქართველმა ხელბურთელებმა მეორე დღეს ფინელებთან შეხვედრაში იმარჯვეს — 33:26 (15:8). მესამე ტურში მათ დასანანი მარცხი განიცადეს სსრ კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებთან — 15:16 (8:12). თამაშის მიწურულს ქართველმა ხელბურთელებმა ორჯერ გაათანაბრეს ანგარიში, მაგრამ დაწინაურება ვერ შეძლეს. მათ ვერ გამოიყენეს ბურთის გატანის რამდენიმე ნაღდი შანსი, რამაც გუნდში დაბნეულობა გამოიწვია.

დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია: ჩეხია — სსრ კავშირი (ახალგაზრდული) 14:17 (4:10), ფინეთი—სომხეთი 16:23 (6:11), ჩეხია — სომხეთი 22:17 (12:8), სსრ კავშირი I — სსრ კავშირი (ახალგაზრდული) 26:15 (14:8), ჩეხია — ფინეთი 23:16 (15:7), სსრ კავშირი I — სომხეთი 27:18 (17:9).

3 ტურის შემდეგ სსრ კავშირის I ნაკრებს 6 ქულა აქვს, სსრ კავშირის ახალგაზრდულ გუნდსა და ჩეხიის ნაკრებს — 4-4, საქართველოსა და სომხეთის კოლექტივებს — 2-2, ფინეთის ნაკრებს — 0.

დღეს ტურნირის მონაწილეები ისვენებენ, ხვალ და ზეგ კი გაიმართება ბოლო შეხვედრები.

ხელბურთი

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 8 უე 04137

რედაქტორი მ. კაკაბაძე.